

შპს „ბრესლეს“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ბრესლეს			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	665931	1317424	
ფულადი სახსრები	25921	193523	3.1
მოკლევადიანი ინვესტიციები			
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10770	68983	
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	30	100	
აგანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	63205	69002	3.2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1382	18997	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	564623	966819	3.3
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	27272	44014	
ძირითადი საშუალებები	27272	44014	
სულ აქტივები:	693203	1361438	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	2056440	4847935	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	851477	757045	3.4
მოკლევადიანი სესხები		2901910	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	11	22023	
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	1204952	1166957	3.5
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:			
სულ კაპიტალი:	-1363237	-3486497	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2295191	100	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-3658428	-3486597	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	693203	1361438	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.			
დირექტორი _____		თამთა შამათავა	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს ბრესლეს				
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			
	2018	2017		
ამონაგები	350277	886745	3.6	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	408655	694564		
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	-58378	192181		
სხვა საოპერაციო შემოსავლები		23		
სულ საოპერაციო შემოსავლები:	-58378	192204		
მიწოდების ხარჯები	875	1615	3.7	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	234705	261372	3.8	
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები				
სულ საოპერაციო ხარჯები:	235580	262987		
ფინანსური შემოსავლები	2563			
დადებითი საკურსო სხვაობები	172460	25186		
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	34			
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	175057	25186	3.9	
ფინანსური დანახარჯები		410353		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	52928	322994		
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	2			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	52930	733347		
მოგება დაზღვევამდე:	-171831	-778944		
მოგების გადასახადის ხარჯი				
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-171831	-778944		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-171831	-778944		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-171831	-778944		
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:				
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-171831	-778944		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.				
დირექტორი _____	თამთა შამათავა			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბრესლეს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 21 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404419232, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 37-39. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2012 წლის 11 მაისს.

1.2. კომპანიის მფლობელია შპს “ნიუ გრატო”(ს.კ 404413620) -100% წილის მფლობელი

1.3. კომპანიის დირექტორია თამთა შამათავა (პ/ნ 01024039596)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ტანსაცმლითა ფეხსაცმლით

1.5. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 11 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	2166	2119
ლარი საბანკო ანგარიშებზე	18399	27176
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	2111	164213
ევრო საბანკო ანგარიშებზე	3245	15
სულ:	25921	193523

3.2. ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	62428	68152
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	777	850
სულ:	63205	69002

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	564150	966346
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	473	473
სულ:	564623	966819

3.4. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	843937	749421
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	7540	7624
სულ:	851477	757045

3.5. მოკლევადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ფიზიკურ პირებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის პირი		2901910
ფიზიკურ პირისგან მიღებულ გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	1204952	706285
არარეზიდენტი იურიდიული პირის სესხზე დარიცხული პროცენტი		460672
სულ:	1204952	4068867

3.6. ამონაგები

	2018 წელი	2017 წელი
საქონლის რეალიზაცია	343565	885067
ქვეიჯარიდან შემოსავლები	6712	1678
სულ:	350277	886745

3.7. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
რეკლამის ხარჯები	875	1615
სულ:	875	1615

3.8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	84270	88044
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	356	543
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	2222	1074
ელ.ენერგიის და კომუნალური დასუფთავების ხარჯი	4505	4563
იჯარის ხარჯები	122383	132636
ცვეთა და ამორტიზაცია	14855	20478
საკომუნიკაციო ხარჯები	1612	1468
საბანკო ხარჯები	4463	11898
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	39	668
სულ:	234705	261372

3.9. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი	2017 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	2563	0
დადებითი საკურსო სხვაობები	172460	25186
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	34	0
სულ:	175057	25186

3.9. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო დანახარჯები	0.00	410353.00
უარყოფითი საკურსო სხვაობები	52928.00	322994.00
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი	2.00	
სულ:	52930	733347

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	665931	1317424	
ფულადი სახსრები	25921	193523	3.1
მოკლევადიანი ინვესტიციები			
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10770	68983	
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	30	100	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	63205	69002	3.2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1382	18997	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	564623	966819	3.3
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	27272	44014	
ძირითადი საშუალებები	27272	44014	
სულ აქტივები:	693203	1361438	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	2056440	4847935	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	851477	757045	3.4
მოკლევადიანი სესხები		2901910	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	11	22023	
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	1204952	1166957	3.5
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>			
<i>სულ კაპიტალი:</i>	-1363237	-3486497	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2295191	100	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-3658428	-3486597	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	693203	1361438	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



თამთა შამათავა

თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2018	2017	
ამონაგები	350277	886745	3.6
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	408655	694564	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	-58378	192181	
სხვა საოპერაციო შემოსავლები		23	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	-58378	192204	
მიწოდების ხარჯები	875	1615	3.7
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	234705	261372	3.8
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები			
სულ საოპერაციო ხარჯები:	235580	262987	
ფინანსური შემოსავლები	2563		
დადებითი საკურსო სხვაობები	172460	25186	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	34		
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	175057	25186	3.9
ფინანსური დანახარჯები		410353	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	52928	322994	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	2		
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	52930	733347	
მოგება დაბეგვრამდე:	-171831	-778944	
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-171831	-778944	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-171831	-778944	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-171831	-778944	
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი:			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-171831	-778944	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



თამთა შამათავა

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.